შპს "გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი"-ს შენობის დაშენების ესკიზური არქიტექტურული პროექტი



შპს "თიესფი" ს/ნ: 400293758 დირექტორი გ. ნაჭყებია არქიტექტორი ე. ლიპარტელიანი	შპს "გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი"-ს შენობა	ს/კ: 01.13.08.001.056 მისამართი: უზნაძის ქ. 78	თარიღი	მასშტაბი	თავფურცელი	საპრ.
			24/08/2025	1:200		01

პროექტის შემადგენლობა

1. თავფურცელი
2. პროექტის ჩამონათვალი
3. საკადასტრო ამონაწერი და გეგმა
4. განმარტებითი ბარათი
5. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა
6. არსებული სიტუაციის ტოპოგადაღება
7. ისტორიულ არქიტექტურული კვლევა
8. საინჟინერო-გეოლოგიური დასკვნა
9. შენობა 1/3-ს ფუძე-საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო შეფასება
10. საპროექტო გენგეგმა
11. გეგმები (არსებული და საპროექტო)
12. ჭრილები (არსებული და საპროექტო)
13. ფასადები (არსებული და საპროექტო)
14. 3დ ვიზუალიზაცია და მონტაჟი
15. კოეფიციენტების საანგარიშო კროკები

შპს "თიესფი" ს/კ: 400293758	შპს "გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი"-ს შენობა	ს/კ: 01.13.08.001.056 მისამართი: უზნაძის ქ. 78	თარიღი	მასშტაბი	პროექტის შემადგენლობა	საპრ.
დირექტორი გ. ნაჭყებია			24/08/2025	1:200		02
არქიტექტორი ე. ლიპარტიანი						

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.13.08.001.056**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია **მომზადების თარიღი**

N 882023404022 - 24/04/2023 13:19:15 **25/04/2023 09:22:49**

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	დიდუბე		
01	**13**	**08**	**001/056**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა უზნაძე , N 78

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი: 1730.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:**1;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1 საერთო ფართით 2832.02 კვ.მ. (დამხმარე სათავსო 658.53 კვ.მ., I სართული 697.63 კვ.მ., II სართული 732.15 კვ.მ., III სართული 743.71 კვ.მ.) , N2 საერთო ფართით 449.58 კვ.მ. (I სართული 147.09 კვ.მ., II სართული 150.84 კვ.მ., III სართული 151.65 კვ.მ.) , N3 - ფართით 19.31 კვ.მ. , N4 - ფართით 7.82 კვ.მ. , N5 - ფართით 6.43 კვ.მ.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882012426165 , თარიღი 03/08/2012 13:19:59
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/08/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 2000 წლის 30 აგვისტოს დადგენილება (რეგისტრაციის N2/5-109).
- უძრავ ნივთზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ საქართველოს კანონი მუხლი N26
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12074458, ამონაწერის მომზადების თარიღი: 22/06/2012 წელი.
- ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიერ 2004 წლის 10 ნოემბერს გაცემული ტექნიკური პასპორტი.
- ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 12 სექტემბრის ბრძანება N7197/002-2/5-109 ს/ს
- ბრძანება N9492/002-2/5-109 ს/ს , დამოწმების თარიღი:13/03/2007 , ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია

მესაკუთრეები:
შპს "გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი" , ID ნომერი:202057219

მესაკუთრე: **აღწერა:**

შპს "გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი"

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019313702 თარიღი 23/04/2019 15:59:20

იპოთეკარი: **სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"** 204854595;

საგანი:დაზუსტებული ფართობი: 1730.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1 საერთო ფართით 2832.02 კვ.მ. (დამხმარე სათავსო 658.53 კვ.მ., I სართული 697.63 კვ.მ., II სართული 732.15 კვ.მ., III სართული 743.71 კვ.მ.) , N2 საერთო ფართით 449.58 კვ.მ. (I სართული 147.09 კვ.მ., II სართული 150.84 კვ.მ., III სართული 151.65 კვ.მ.) , N3 - ფართით 19.31 კვ.მ. , N4 - ფართით 7.82 კვ.მ. , N5 - ფართით 6.43 კვ.მ;

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/04/2019

იპოთეკის ხელშეკრულება N 001/2, რეესტრის ნომერი N190444762, დამოწმების თარიღი23/04/2019, ნოტარიუსი მედეა გვაზავა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

- აკრძალვა: **102020028495 21/01/2020 16:43:43**
  შპს გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ს/ნ 202057219

საგანი: **უძრავი ნივთი: ქალაქი თბილისი , ქუჩა უზნაძე , N 78, 01.13.08.001.056, დავის დასრულებამდე, აეკრძალოს სს 'თიბისი ბანკს' 2019 წლის 23 აპრილის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის თანხის გადახდის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია.**
საფუძველი: **განჩინება, N2/904-20, 20.01.2020, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.13.08.001.056*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882013528260
მიწის ნაკვეთის ფართობი: *1730* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 31.10.13



01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა
ვალდებულება
ხაზობრივი ნაგებობა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
მშენებარე ნაგებობა
მიწისქვეშა ნაგებობა
UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 ტელ: (995 32) 94 13 65
www.napr.gov.ge

მოგესალმებით.
პირველი სტადიის დამტკიცების დროს მქონდა ატვირთული ყველა საჭირო ფაილი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მივიღეთ თანხმობა - მიღებულ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებაში მითითებული იყო , რომ თანხმობა მოცემულია ესკიზის გარეშე.

ეხლა ისევ ვტვირთავ ამ ფაილებს, და გთხოვთ ესკიზი შეგვითანხმოთ.
ერთი და იგივე კითხვების ასაცდილებლად - ასევე დამატებით გიგზავნით განმარტებებს, რომელიც მიწერილი მქონდა პირველი სტადიის განაცხადისთვის,

1 ....არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ....ტოპოგრაფიული გეგმის pdf ფაილი : - წარმოდგენილ იქნას შესაბამისი ორგანიზაციის ბეჭდით დამოწმებული და ხელმოწერილი ტოპოგრაფიული გეგმა;
მაქვს ატვირთული შესაბამისი ბეჭდით და ხელმოწერით ტოპო.



2 ....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება -> ....ფუნქციური დანიშნულება : -განიმარტოს ფუქნციები და მითიტებულ იქნას შესაბამისი პროცენტულობა;
მქონდა მოწერილი განმარტება გრაფაში „განმარტებითი ბარათი“ რომელსაც ეხლა ვერც მე ვერ ვპოულობ, ან კი 03/11/2025 შუალედურის შემდეგ - არსებობდა ეს ტექსტი. ვინაიდან განმარტებითი ბარათის გრაფა არაა ღია - დოკუმენტაციასთან ერთად ავტვირთავ განმარტებით ბარათს ფაილის სახით, ხოლო შემდგომში მისი „გაუქმება“ რომ არ მოხდეს, აქაც გწერთ:
საპროექტო შენობის ფუნქციური გაანგარიშება:
სარდაფი - დამხმარე ფართები, რომლებიც ამჟამად არ მოიხმარება - შეადგენს 19.8%
(პროექტირების შემდეგ 19.4 %)
პირველი და მეორე სართული - საოფისე ფართები, შეადგენს 40.1%
(პროექტირების შემდეგ 40.1 %)
მესამე სართული - პოლიკლინიკა შეადგენს 20.1%
(პროექტირების შემდეგ 20.1%)
მანსარდის სართული - სხვენი , რომელიხ არ მოიხმარება - შეადგენს 20.0%
იგეგმება საგამოფენო დარბაზი (პროექტირების შემდგომ 20.4%)

3. **....საჭიროების შემთხვევაში საპროექო ობიექტის ესკიზური ვარიანტი ->**..ესკიზური ვარიანტის pdf ფაილი :
- საკადასტრო გეგმის მიხედვით დაზუსტდეს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტებში მოხსენიებული სადემონტაჟო შენობები და შესაბამისი არეალების ფოტოებიც იქნეს წარმოდგენილი. დემონტირებული შენობანაგებობები დაზუსტების შემდგომ საჭიროების შემთხვევაში შეყვანილ იქნეს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ანგარიშში;
მაქვს მოცემული ყველა კოეფიციენტები კროკები ერთ ფურცელზე - არსებულებიც და საპროექტოც - „ესკიზური ვარიანტის“ ფაილებში - ყოველ შემთხვევაში კიდევ ერთხელ ცალ-ცალკე გამოგიგზავნით, და ამ ფაილშიც გიგდებთ დაანგარიშებულ მონაცემებს:
შენობა 1/3 არსებული განაშენიანების ფართი: 856.1 + 868.8 + 865.8 + 865.8 + 865.8 = 4322.3m²
შენობა 1/3 საპროექტო განაშენიანების ფართი: 856.1 + 895.8 + 886.4 + 886.4 + 886.4 = 4411.1m²

არსებული კ1 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი: 868.8(შენობა 1/3) +175.7(შენობა 2/3) + 23.4(შენობა 3/1) + 8.8(შენობა 4/1) + 6.3(შენობა 5/1) = 1083.0m² / 1730.0 = 0.6
საპროექტო კ1 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი: 882.4(შენობა 1/3) +175.7(შენობა 2/3) + 23.4(შენობა 3/1) + 0.0(შენობა 4/1დემონტირებული) + 6.3(შენობა 5/1) = 1087.8m² / 1730.0 = 0.6

არსებული კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი: 3030.2(შენობა 1/3) +595.1(შენობა 2/3) + 23.4(შენობა 3/1) + 8.8(შენობა 4/1) + 6.3(შენობა 5/1) = 3663.8m² / 1730.0 = 2.1

- ხდება ზონით დადგენილი განაშენიანების კოეფიციენტი კ1 - ის რიცხვითი მაჩვენებლის გადამეტება ხდება. გათვალისიწნებულ იქნეს რომ არ უნდა მოხდეს უკვე გადაჭარბებული კოეფიციენტის მაჩვენებლით შეუსაბამობის კიდევ უფრო ზრდა;
რაც ეხება კ1 კოეფიციენტის გადაჭარბებას - არსებული სიტუაციით უკვე გადაჭარბებულია. საკადასტროზე დატანილი შენობა 4 -ხის დემონტაჟი მოხდება, და მის ადგილას ლიფტის უჯრედი მოეწყობა. ანუ არსებული სიტუაციის მიხედვით უკვე გადამატებულია, და პირიკით - 1 კვ.მ. ნაკლებით გამოდის ლიფტის უჯრედი.
3 კვ.მ. უფრო დიდი ფართი გამოვიდა, ვინაიდან გავზარდეთ შესასვლელის ბანქანი „კ“ ღერძზე - კერძოთ გავაერთიანეთ 2 შესასვლელის ბანქანი.
ამით არ იცვლება კ1-თი კოეფიციენტის მაჩვენებელი. თუ მაინც თვლით რომ საჭიროა დაუბრუნდეთ პირვანდელ მაჩვენებლებს - ისევ 2 პატარა ბანქანს დავტოვებთ.

- ფოტომონტაჟები დამუშავდეს არსებული სიტუაციაიის ამსახველ ფოტობზე . საჭიროა მონტაჟები დამუშავებულ იქნას ერთიანი მაღალი ხედებით;

უზნაძის მხრიდან შეუძლებელია გადავიღოთ ფასადები, იმიტომ რომ ხეები ისე არის იქ გაზრდილი, რომ თითქმის მთლიან ფასადს ფარავენ. ასევე, ვინაიდან მარადმწვანე ხეებია, ზამთარშიც სურათი არ იცვლება.



რაც ეხება „ერთიან მაღალ ხედს“ - დრონით გადაღება აკრძალულია, ვინაიდან მეზობლად თავდაცვის სამინისტრო იმყოფება.
ამიტომ ფოტომონტაჟები დამუშავებულია უკანა კორპუსიდან გადაღებულ ზედა ხედიდან არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოზე.
ერთ ფურცელზე განვათავსე ეს ფოტო და ფოტომონტაჟი, უკანა ფასადი შეცვლილია, იმიტომ რომ არსებული ფასადების რეკონსტრუქციაც მოთხოვნილი გვაქვს. შენობა წარმოადგენს კვლევით ინსტიტუტს და ფასადევი საშინელ მდგომარეობაში, საუკუნის მეოთხედზე მეტი არავის არ გაუკეთებია არაფერი, და ეხლა შენობის გარე იერსახის მოყვანა ნორმალურ მდგომარეობაში სსურთ.





- წარმოდგენილ იქნეს სარეკონსტრუქციო ობიექტის და მომიჯნავე შენობანაგებობების ასახვით ქუჩის განშლა. მითითებულ იქნეს ნიშნულები;

მომიჯვნავე შენობა სარეკონსტრუქციო ობიექტს მხოლოდ მარცხენა მხრიდან აქვს. ეს განშლაც ატვირთული მქონდა.





მარჯვენა მხრიდან შემდეგი შენობა მხოლოდ გზის მერე არის, და ისევ ხეებით დაფარული, ამიტომ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ამ შენობის განშლა დავამატოთ. მაგრამ თუ მაინც საჭიროა - გავაკეთებთ.





პატივისცემით
ელენე ლიპირიდი

თბილისის არქიტექტურა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება

დოკუმენტი №7779208

განაცხადი №AR11114341

თარიღი : 24.10.2025

განმცხადებელი: ელენე ლიპირიდი პ/ნ: 01019009185

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა უზნაძე , N 78;

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

კომისიის წევრი: თანხმობა

- ესკიზის გარეშე.

კომისიის წევრი: თანხმობა

- ესკიზის შეთანხმების გარეშე გაპის გაცემა შესაძლებელია. პროექტი დასახვეწია. სასურველია ისე დააშენოთ მოცულობა რომ მეხუთე ფასადი დამშვენდეს. აგრეთვე, წარმოადგინეთ ძირითადი ფასადის ფოტომონტაჟი და პირობითი ჭრილები.

კომისიის წევრი: თანხმობა

- ესკიზის გარეშე. პროექტის შემოტანისას აუცილებლად წარმოადგინეთ ფასადის მხრიდან საილუსტრაციო მასალა.

კომისიის წევრი: თანხმობა

- ესკიზის გარეშე.

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: უარყოფა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

განაცხადზე კომისიის/საბჭოს შეფასება "დადებითი"
კომისიის/საბჭოს ჩატარების თარიღი: 22.01.2026

კომისიის/საბჭოს დასკვნა - რეკომენდაცია:

ოქმი N2

მიეცეს დადებითი შეფასება ქ. თბილისში, უზნაძის ქ. N78-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხს წარმოდგენილი ესკიზის შეთანხმების გარეშე.

განმარტებითი ბარათი

ობიექტის საკადასტრო კოდი: 01.13.08.001.056
ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 78
ობიექტის მესაკუთრე: შპს "გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი"
ნაკვეთის დაზუსტებული ფართი: 1730.0m²

გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:
1. დაშენება ხდება შენობა 1/3 ნაწილში (ბლოკი ა, ხოლო ბლოკი ბ - ღია ვერანდა დარჩება), ხოლო ვინაიდან შენობების 1/3 და 2/3 (ბლოკი გ) პირველი და ბოლო სართულები(მანსარდა) შეერთებულია, და შენობა 2/3 (ბლოკი გ) მანსარდა გამოიყენება, ვინაიდან ამ ნაწილის (შენობა 2/3, ბლოკი გ) სართულების სიმაღლე ნაკლებია, ვიდრე შენობა 1/3 (ბლოკი ა და ბ) ნაწილში, პროექტში ეს ბლოკიც გვაქვს დატანილი, ან კი არ ვახორციელებთ მაგის ნაწილში არავითარ ცვლილებას.
2. მოგახსენებთ, რომ საპროექტო შენობის (უზნაძის 78) მიმდებარედ მდებარეობს სამთავრობო შენობა, კერძოდ თავდაცვის სამინისტრო, რის გამოც დრონით გადაღება აკრძალულია, და ვერ ხერხდება ფოტოების მაღალი ხედიდან გადაღება.
3. გამწვანების (კ3) კოეფიციენტის კვადრატულობასთან დაკავშირებით განგიმარტავთ, რომ არსებული მდგომარეობით ეზოს თითქმის მთლიანი სივრცე დაფარულია ბეტონის საფარით, ჩვენი საპროექტო კ-1 კოეფიციენტის კვადრატულობა კი იზრდება მხოლოდ გარე კიბის უჯრედის და გარე ლიფტის შახტის ფართის საფუძველზე - და ესეც იმ ადგილას არსებული ნაგებობის დემონტაჟის კვადრატულობას არ აღემატება.
მიუხედავად ზემოაღნიშნული ფართის მატებისა, ეზოს თავისუფალი სივრცის კვადრატულობა, ზონის მიხედვით დადგენილი კ-3 კოეფიციენტის კვადრატულობას მაინც ბევრად აღემატება და დღევანდელ მესაკუთრეებს აქვს უკვე დარგული ვენახი 2/3 (ბლოკი გ) ნაწილის ფასადის გასწვრივ, და 1/3 (ბლოკი ბ) ნაწილის კუთხეში.

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ.თბილისის ადმინისტრაციულ ფარგლებში.
ნაკვეთი თავისი გეოდეზიური მახასიათებლებით თითქმის სწორეა. მაქსიმალურის სხვაობა სიმაღლეში 50-60 სმ წარმოადგენს საზღვრიდან საზღვრამდე.
ნაკვეთზე განთავსებულია 5 შენობა-ნაგებობა. აქედან ძირითადი შენობები (1/3 და 2/3) აშენებულია წარსული საუკუნის 70-ან წლებში და წარმოადგენენ 3-სართულიან შენობებს სარდაფით და მანსარდით.
დაშენება ხდება შენობა 1/3 ნაწილში (ბლოკი ა და ბლოკი ბ).
შენობა 1/3 მანსარდის ნაწილში უკვე არსებობს სივრცე, რომელიც პერიმეტრიული სიმაღლის გამო ვერ გამოიყენება, ან კი შიდა ნაწილში სიმაღლე საკმარისია, გვსურს სახურავის აწევა ასე, რომ სიმაღლე დაემატოს მთლიან მანსარდის სართულს, და სივრცის გამოყენება შესაძლებელი იყოს. ფაქტობრივად, ან კივთვირთავთ განაცხადს "დაშენების" ველში, დაშენებას არ წარმოადგენს. ძველი სახურავი მთლიანად მოიხსნება და შეიცვლება, და ასევე შეიცვლება ფერი - შენობა 2/3 (ბლოკი გ) ფერის შესაბამისად. ვინაიდან ამ შემთხვევაში გამოსაყენებელი მანსარდა გამოგვდის, ახალი ნორმების მიხედვით დავამატედ გარე კიბის უჯრედი და ლიფტის შახთა - რაც წარმოადგენს მიშენებას. ან კი უზნაძის მხრიდან შენობაში შესვლა ხვდება საფეხურების გარეშე, ფასადი 1-10 მხრიდან დავამატეთ პანდუსი, და შევცვალეთ შესასვლელის კომპოზიცია და გვზარდეთ ბანქანი ასე რომ უფრო მოხერხებული იყოს შენობაში შესვლა.
რაც ეხება სარდაფის სართულს ეხლა ვერ გამოიყენება, იმიტომ რომ არსებული ფანჯრების გაღება ვერ ხერხდება. ამიტომ ფანჯრების წინ ასე წოდებულ სინათლის შახტების მოწყობა დაგეგმილია (მიწის დონე ამ შახტების წინ იქნება ჩაწეული ასე, რომ მოხერხდეს ფანჯრების გაღება) სახურავის აწევა მოხდება მსუბუქი ლითონის კონსტრუქციის მეშვეობით, და გარე კედლების შევსება მოხდება პერლიტის მსუბუქი ბლოკით.
სახურავი მეტალოკრამიტისა იქნება (RAL 7015), დასამატებელი კარ-ფანჯარა თეთრი მეტალოპლასმასის, არსებულის შესაბამისად.
მოხდება შენობის ფასადების რეკონსტრეუკცია - ფასადები შეილესება, უზნაძის მხრიდან აღდგენილი იქნება პირველადი დიზაინი, და კარფანჯრების გარშემო მუქი ფერის კარნიზები მოეწყობა.
ფასადების ნაწილი და კორნიზები შეიღებება მუქ ბეჟად - RAL7006, და ფასადის ძირითადი ნაწილი - ღია ბეჟად (არსებული შესაბამისად) - RAL 1013
უზნაძის მხრიდან ფასადებზე განთავსებული კონდიციონერების ბლოკები იქნება "დახურული" დეკორატიული ბადეთი, RAL7006. დეკორატიული ბადის ნახატი გადაწყვეტილი იქნება მშენებლობის დროს, ბაზარზე არსებული არჩევანის მიხედვით. ყველა დამცავი მოაჯირი და ლითონის მზიდი ნაწილები მუქ რუხად შეიღებება, RAL9004.
წვიმისგან დამცავი კაზიროკები - ორგანული მინისგან (პოლიმეთილაკრილატი) იქნება, ლითონის კონსტრუქციით.

საპროექტო შენობის 1/3 (ბლოკი ა და ბ) ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:
არსებული მაქსიმალური გაბარიტული ზომები: 40.65m x 39.05m x 15.60m (სიმაღლე მიწის დონის ნიშნულიდან)
საპროექტო მაქსიმალური გაბარიტული ზომები: 40.65m x 39.05m x 16.50m (სიმაღლე მიწის დონის ნიშნულიდან)
+0,00 ნიშნულად იქნება მიღებული შენობა 1/3 (ბლოკი ა და ბ) პირველი სართულის ნიშნული, რაც შეესაბამისება აბსოლუტურ ნიშნულს: + 403.457

შენობის არსებული განაშენიანების ფართი: 4322.3m²
შენობის საპროექტო განაშენიანების ფართი: 4397.7m²
სხვაობა:

ნაკვეთის კოეფიციენტების საანგარიშო ფართები:
არსებული კ1 (განაშენიანების) კოეფიციენტის საერთო ფართი: 868.8(შენობა 1/3) +175.7(შენობა 2/3) + 23.4(შენობა 3/1) + 8.8(შენობა 4/1) + 6.3(შენობა 5/1) = 1083.0m² / 1730.0 = 0.6
საპროექტო კ1 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი: 882.4(შენობა 1/3) +175.7(შენობა 2/3) + 23.4(შენობა 3/1) + 0.0(შენობა 4/1დემონტირებული) + 6.3(შენობა 5/1) = 1087.8m² / 1730.0 = 0.6

არსებული კ2 (განაშენიანების ინტენსიფიკაციის) კოეფიციენტის საანგარიშო ფართი: 2543.5(შენობა 1/3) +651.8(შენობა 2/3) + 23.4(შენობა 3/1) + 8.8(შენობა 4/1) + 6.3(შენობა 5/1) = 3233.8m² / 1730.0 = 1.9
საპროექტო კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი: 3072.9(შენობა 1/3) + 595.1(შენობა 2/3) + 23.4(შენობა 3/1) + 0.0(შენობა 4/1დემონტირებული) + 6.3(შენობა 5/1) = 3697.7m² / 1730.0 = 2.1

არსებული კ3 (ჩვენს შემთხვევაში ეზოს) კოეფიციენტის საანგარიშო ფართი: 496.0m² / 1730 = 0.3
საპროექტო კ3 (ჩვენს შემთხვევაში ეზოს) კოეფიციენტის საანგარიშო ფართი: 496.0m² / 1730 = 0.3

შპს "თიესფი" ს/ნ: 400293758		შპს "გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი"-ს შენობა	ს/კ: 01.13.08.001.056 მისამართი: უზნაძის ქ. 78	თარიღი	მასშტაბი	განმარტებითი ბარათი	საპრ.
დირექტორი	[illegible]			05/07/2026	1:200		04
არქიტექტორი	[illegible]						

არსებული ფასადის განშლა უზნაძის ქუჩის მხრიდან

შენიშვნა: მარჯვნივ მანძილი უახლოეს შენობამდე შეადგენს 6,80მ.



საპროექტო ფასადის განშლა უზნაძის ქუჩის მხრიდან

შენიშვნა: მარჯვნივ მანძილი უახლოეს შენობამდე შეადგენს 6,80მ.



შენობა 1/3 არსებული განაშენიანების ფართი: 856.1 + 868.8 + 865.8 + 865.8 + 865.8 = 4322.3m²

არსებული კ1 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი: 868.8(შენობა 1/3) +175.7(შენობა 2/3) + 23.4(შენობა 3/1) + 8.8(შენობა 4/1) + 6.3(შენობა 5/1) = 1083.0m² / 1730.0 = 0.6

არსებული კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი: 2543.5(შენობა 1/3) +651.8(შენობა 2/3) + 23.4(შენობა 3/1) + 8.8(შენობა 4/1) + 6.3(შენობა 5/1) = 3233.8m² / 1730.0 = 1.9



არსებული k3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი: 496.0m²







შენობა 1/3 საპროექტო განაშენიანების ფართი: 856.1 + 895.8 + 886.4 + 886.4 + 886.4 = 4411.1m²

საპროექტო კ1 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი: 882.4(შენობა 1/3) +175.7(შენობა 2/3) + 23.4(შენობა 3/1) + 0.0(შენობა 4/1დემონტირებული) + 6.3(შენობა 5/1) = 1087.8m² / 1730.0 = 0.6

საპროექტო კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი: 3072.9(შენობა 1/3) +595.1(შენობა 2/3) + 23.4(შენობა 3/1) + 0.0(შენობა 4/1დემონტირებული) + 6.3(შენობა 5/1) = 3697.7m² / 1730.0 = 2.1



საპროექტო k3 კოეფიციენტის
საანგარიშო ფართი: 496.0m²



საპროექტო -3,00 ნიშნულზე



საქართველოს მთავრობის დადგენილების ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ, თავი V (განაშენიანების პარამეტრები),
მუხლი 36 (განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2)),
პუნკტი 3 ქვეპუნკტი "გ" შესაბამისად კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის მანსარდის იმ ნაწილის 3/4, რომლის სიმაღლეც 1,6 მეტრზე მეტია და
პუნკტი 4 ქვეპუნკტების "ა" და "ზ" შესაბამისად კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არ შედის ტერასის იატაკის ზედაპირის საერთო ფართობი და პირველი მიწისზედა სართულის გარდა, სხვა მიწისზედა სართულზე არსებული კიბის უჯრედის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის და შესაბამის სართულზე არსებული ლიფტის შახტის საერთო ფართობის ის ნაწილი, რომელიც 40 მ2-ზე ნაკლებია

შენობა 1/3 არსებული კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი:
863.1+840.2+840.2 = 2543.5m²

შენობა 2/3 არსებული კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი:
175.7+158.7+158.,7+158.7 = 651.8m²



1 სართულის კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი:
863.1 (შენობა 1/3)
175.7(შენობა 2/3)



k1 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი:
8.8(შენობა 4/1 +175.7(შენობა 2/3)+
868.8(შენობა 1/3) = 1047.5m²

საქართველოს მთავრობის დადგენილების ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ, თავი V (განაშენიანების პარამეტრები),
მუხლი 36 (განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2)),
პუნკტი 3 ქვეპუნკტი "გ" შესაბამისად კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის მანსარდის იმ ნაწილის 3/4, რომლის სიმაღლეც 1,6 მეტრზე მეტია და
პუნკტი 4 ქვეპუნკტების "ა" და "ზ" შესაბამისად კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არ შედის ტერასის იატაკის ზედაპირის საერთო ფართობი და პირველი მიწისზედა სართულის გარდა, სხვა მიწისზედა სართულზე არსებული კიბის უჯრედის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის და შესაბამის სართულზე არსებული ლიფტის შახტის საერთო ფართობის ის ნაწილი, რომელიც 40 მ2-ზე ნაკლებია



1 სართულის კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი:
872.3(შენობა 1/3)
175.7(შენობა 2/3)

ბლოკი გ (შენობა 2/3): 175.7m²





k1 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი:
175.7(შენობა 2/3)
868.8(შენობა 1/3)

ბლოკი გ: 175.7m²

შენობა 1/3 საპროექტო განაშენიანების ფართი:
868.8 + 865.8 + 865.8 + 865.8 = 3466.2m²

მე-2 სართულის
კ2 საანგარიშო ფართი: 840.2m²

მე-2 სართულის
განაშენიანების ფართი: 865.8m²

მე-2 სართულის კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი:
840.2(შენობა 1/3)
158.7(შენობა 2/3)

ბლოკი გ: 158.7m²

ბლოკი გ: 175.7m²

მე-2 სართულის
კ2 საანგარიშო ფართი: 840.2m²

მე-2 სართულის კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი:
840.2(შენობა 1/3)
158.7(შენობა 2/3)

ბლოკი გ: 158.7m²

მე-2 სართულის
განაშენიანების ფართი: 886.4m²

ბლოკი გ: 175.7m²


მე-3 სართულის
კ2 საანგარიშო ფართი: 840.2m²
მე-3 სართულის კ2 კოეფიციენტის საანგარიშო
ფართი:
840.2(შენობა 1/3)
158.7(შენობა 2/3)
ბლოკი გ: 158.7m²


მე-3 სართულის
განაშენიანების ფართი: 865.8m²
ბლოკი გ: 175.7m²

მე-3 სართულის
კ2 საანგარიშო ფართი: 840.2m²

მე-3 სართულის კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი:
840.2(შენობა 1/3)
158.7(შენობა 2/3)

ბლოკი გ: 158.7m²

მე-3 სართულის
განაშენიანების ფართი: 886.4m²

ბლოკი გ: 175.7m²


მე-3 სართულის
განაშენიანების ფართი: 865.8m²
მანსარდის კ2 კოეფიციენტის საანგარიშო
ფართი:
158.7(შენობა 2/3)
ბლოკი გ: 158.7m²
ბლოკი გ: 175.7m²



მანსარდის სართულის კ2 კოეფიციენტის
საანგარიშო ფართი:
520.2(შენობა 1/3)
158.7(შენობა 2/3)

შენობა 1/3
კ2 კოეფიციენტის საერთო საანგარიშო ფართი:
872.3 + 840.2 + 840.2 + 520.2 = 3072.9m²






HW-987-WH
TL-001-61
Hisense




AUX
LV-783-LL


AUX
მასაჟის მაგიდები
+995 599 79 62 78
+995 599 25 59 73
WWW.MASSAGE.GE

P ისტორიული არქიტექტურული კვლევა

დ. უზნაძის ქუჩა #78



თბილისი

2022 ივნისი

საკვლევი ობიექტი დ. უზნაძის (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩის ბოლოში #78-ში მდებარეობს და გასული საუკუნის 70-80-იანი წლების ადმინისტრაციულ შენობას წარმოადგენს.



დ. უზნაძის ქუჩა დ. აღმაშენებლის გამზირის პარალელურად ვითარდება საარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედნიდან თამარ მეფის ქუჩამდე.

დ. აღმაშენებლის – (ყოფ. Рპლეხანოვის, ყოფ. მიხეილის) გამზირი ისტორიული თბილისის ერთ-ერთი ძირითადი არტერიაა. ქუჩა XIX ს-ის II ნახევარში ინტენსიურად გაშენდა ამ უბნის გერმანელი კოლონისტების მიერ ათვისებისას.

XVIII ს. Eტერიტორია, რომელზედაც დღეს გამზირი არსებობს, ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. 1800წ. ქალაქის გეგმაზე განაშენიანებული იყო მხოლოდ ვორონცოვის მოედნის ნაწილი, რომელსაც სოფ.Kკუკია უერთდებოდა (სოფ. კუკია დაახლოებით იქ თავდებოდა, სადაც ახლა მარჯანიშვილის ქუჩა გადის).



A

ამ მიწების აქტიური ათვისება, მხოლოდ 1818 წლიდან გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლების დროიდან იწყება. სწორედ გერმანელებმა კეთილმოაწყვეს ეს ტერიტორიები, Gგამოიყვანეს სარწყავი არხი და გააშენეს ბაღები და ბოსტნები. გერმანელები გახდნენ თბილისის ბაზრებში ხილისა და ბოსტნეულის მთავარი მომწოდებლები. განსაკუთრებით აქტიურად გაშენდა მიხეილის გამზირი ვერის ხიდის (ახ. Gგ. ტაბიძის ხიდის) აგების შემდგომ. 1860-იანი წლებისთვის ეს ტერიტორია ჯერ კიდევ აქტიურად იყო გამწვანებული გერმანელთა ბაღებით, რომელთა ფრაგმენტები შემოგვრჩა ყოფ. Fფილარმონიის (გოფილექტის) ვარდების (გორკის) არტოს და სხვა ბაღების სახით.



არქიტექტურული განაშენიანებიდან მიხეილის გამზირზე და მიმდებარედ აღსანიშნავია არქ. ალ. ზალცმანის კათოლიკური ეკლესია, სასტუმრო "ვეტცელი" არქ. Lბილფელდი, კინოთეატრი "აპოლო", მარჯანიშვილის სახ. თეატრი ყოფილი "სახალხო

სახლი”, რეალური სასწავლებელი - უშ. ჩხეიძის ქუჩაზე და სხვა ძალზედ მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები, რომელთა უმეტესობა თბილისში მოღვაწე სახელგანთქმული არქიტექტორების ნახელავია.

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან ერთად მიხეილის გამზირის სამხრეთი მხარე XIXს. შუა წლებიდან სამხედრო დანიშნულების ობიექტებს ეკავა: არტილერისტების, დივიზიონსა და მესანგრეთა საჯინიბოებს – ვაგზლის მოედანთან, იუნკერთა და კადეტთა სასწავლებლებს ყოფილი დიდიმთავრის (ახ. Dდ. უზნაძის) და კერძოდ, მიხეილის გამზირზე.



დ. უზნაძის ქუჩის განაშენიანება ძირითადად XIX ს-ის II ნახევრის ორ-სამსართულიანი საცხოვრებელი სახლებისაგან შედგება. თითქმის ყველა ნაგებობა თბილისში იმ დროს გავრცელებული ამპირულ-კლასიცისტური სტილის, ან იშვიათად მოდერნის ტიპის არქიტექტურას წარმოადგენს. ეზოს მხარეს სახლებს თბილისისთვის დამახასიათებელი ხის გალერეა-შუშაბანდებიანი ფასადები გასდევთ.





დ. უზნაძის ქუჩის ამ მონაკვეთის განაშენიანება უმეტესწილად ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებისგან შედგება. მათ შორის არის #76, #80, #82 ნაგებობები.





ამ გარემოში მდებარე უზნაძის ქ. #78 არ წარმოადგენს კულტურულ მემკვიდრეობას. სამსართულიანი ადმინისტრაციული შენობა, უსახური ფასადით და ასეთივე ეზოს ფასადით ხასიათდება. მოცულობა თავისი მასშტაბითაც ცდება მიმდებარე ორსართულიან ისტორიულ განაშენიანებას, თუმცა, უკანასკნელ პერიოდში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზეც მოხდა დაშენებები, კერძოდ, ნაგებობა #82-ს ერთი სართულით მაღალი მოცულობა დაემატა.




შენობის არქიტექტურული სახე სრულიად ერთფეროვანია ყველანაირი კაზმულობის და დეკორატიული ელემენტების გარეშე. ფასადი ერთგვაროვნად არის გალესილი და მასზე მხოლოდ ღიობების თანაბარზომიერი რიტმი გამოიყოფა.




დასკვნა-რეკომენდაცია

დ. უზნაძის ქ. #78, ადმინისტრაციული შენობა, უზნაძის ქუჩის ბოლო მონაკვეთში, არ წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და არ გააჩნია ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულება. ამასთან, შენობა მნიშვნელოვანი ისტორიული განაშენიანების გარემოცვაში მდებარეობს და შესაბამისად, მისი რეკონსტრქცია უნდა მიესადაგოს ამ გარემოს, კერძოდ:

- შენობაზე სხვენის ამაღლება მასში გამოსაყენებელი ფართის მოწყობის მიზნით სასურველია მოხდეს სახურავის კეხის სიმაღლის ცვლილების გარეშე;
- სხვენის სართული ფასადის მხრიდან უნდა დაიხაროს ისე, რომ არ გამოჩნდეს უზნაძის ქუჩის ვიწრო მონაკვეთიდან;
- სხვენზე ღიობების რიტმი და ზომა უნდა მიესადაგოს არსებული ღიობების რიტმს.
- შესაძლებელია როგორც სამერცხულის ტიპის, ასევე ზენიტური ფანჯრის ფორმის გამოყენება;
- სასურველია სახურავის ფორმა და ფაქტურა მიესადაგოს ისტორიული უბნისთვის ტრადიციულ ფერებსა და ფაქტურებს.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი

შპს „არქსტუდიო“

საინჟინრო-გეოლოგიური

დასკვნა

ქალაქი თბილისი, ქუჩა უზნაძე #78

შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“-ს

კუთვნილი მიწის ნაკვეთის

(საკ.კოდი 01.13.08.001.056)

საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

დირ : ზ.ნაზღაიძე



თბილისი

2022 წ

სარჩევი:

1. ფოტომასალა ---- 3
2. ტექნიკური დავალება ----4
3. მიწერილობა ----- 5
4. საერთო ნაწილი, შესავალი ----6
5. ზოგადი ნაწილი ---- 7
6. სამშენებლო კლიმატოლოგია ----10
7. სპეციალური ნაწილი ----12
8. დასკვნები და რეკომენდაციები ----15
9. გამოყენებული ლიტერატურა ----18

დანართები:

1. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკურ მაჩვენებელთა ცხრილი;
2. სამთო გამონამუშევართა განლაგების სქემა;
3. გამონამუშევრების ლითოლოგიური ჭრილები;
4. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები;









ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება - შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“;

დამკვეთი – შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“;

ობიექტის მდებარეობა - ქალაქი თბილისი, ქუჩა უზნაძე #78, საკ.კოდი 01.13.08.001,056;;

დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია;

მშენებლობის ტიპი – რეკონსტრუქცია-დაშენება;

შენობის კლასი – მეორე, მესამე;

არსებული შენობის ტიპი – ტუფის ქვით, ბეტონის ბლოკით და აგურით ნაშენი, მზიდი კედლებით;

დასაშენებელი სართულის ტიპი – ლითონის კონსტრუქციები, ლითონით გადახურვა;

არსებული შენობის სართულიანობა – სამი მიწისზედა, ერთი მიწისქვეშა;

არსებული შენობის საძირკვლების ტიპი – გაირკვევა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შემდეგ;

დატვირთვა საძირკვლებზე – 1000ნ/მ;

მოთხოვნა – დადგინდეს არსებული შენობის საძირკვლების ტიპი, დაფუძნების სიღრმე, აგრეთვე გრუნტის ამგები ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები: სიმკვრივე, ბუნებრივი ტენიანობა, დენადობის მაჩვენებელი, ფორიანობის კოეფიციენტი, დეფორმაციის მოდული, ხახუნის კუთხე, საანგარიშო წინაღობა, ხვედრითი შეჭიდულობა, საგების კუთხე, პუასონის კოეფიციენტი;

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს აკინძული 1 ეგზემპლარად და ელექტრონულ ვერსიაში.

ტექნიკური დავალება გასცა: - შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“;

მიწერილობა

ქალაქი თბილისი, ქუჩა უზნაძე #78, საკ.კოდი 01.13.08.001,056, საინჟინრო–გეოლოგიური პირობების კვლევის პროგრამა შედგენილია ტექნიკური დავალების და ს.ნ. და წ. 1.02.07-87 „მშენებლობის საინჟინრო კვლევები"-ს მოთხოვნების შესაბამისად.

ს.ნ. და წ. 11-105-97 „სამუშაოთა წარმოების საერთო წესები"-ს მოთხოვნათა შესაბამისად განისაზღვრა სამთო გამონამუშევრების სახე, სიღრმე და სიხშირე, ასევე განისაზღვრა საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის ხარისხი.

მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად კვლევის წინაშე დასმულია შემდეგი ამოცანები:

1. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა;
2. გრუნტის ფიზიკო-მექანიკური თვისებების შესწავლა;
3. საკვლევ უბანზე და მის მიმდებარედ ტერიტორიაზე მოქმედი გეოლოგიური პროცესების გამოვლინება და მათი პროგნოზირება;
4. საკვლევ უბანზე მოსალოდნელი საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების განვითარების პროგნოზირება.

დასახული ამოცანების გადასაწყვეტად ს.ნ. და წ. 1.02.07-87 „მშენებლობის საინჟინრო კვლევები"-ს მოთხოვნათა შესაბამისად უნდა ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

1. საკვლევი უბნის ტოპო-გეოდეზიური დაგეგმა 1:500 მასშტაბში;
2. არსებული ფონდური მასალის შეგროვება, დამუშავება
3. საკვლევი მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის რეკოგნოსცირება;
4. საკვლევი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა;
5. სამთო გამონამუშევრების გაყვანა;
6. გრუნტის დასინჯვა და სინჯების ეღება;
7. გრუნტის სინჯების ლაბორატორიული გამოცდა და მონაცემთა დამუშავება;
8. კამერალური სამუშაოების ჩატარება;
9. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედგენა;

1, საერთო ნაწილი

შესავალი

2022 წლის დეკემბერში, ჩატარებულ იქნა ქალაქი თბილისი, ქუჩა უზნაძე #78, საკ.კოდი 01.13.08.001.056 არსებული შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები.

- საველე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები ჩატარდა 16 დეკემბერს;
- ლაბორატორიული კვლევითი სამუშაოები ჩატარდა 16-24 დეკემბერს;
- საველე და ლაბორატორიული კვლევის მასალების კამერალური დამუშავება და ანგარიშის შედგენა 24-26 დეკემბერს;

კვლევის მიზანს შეადგენდა არსებული შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, საძირკვლების ამგები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა დასაძირკვლების პირობების დასადგენად და გრუნტის წყლების (არსებობის შემთხვევაში) სინჯების აღება ქიმიური ანალიზის გასაკეთებლად;

დასახული ამოცანის გადასაწყვეტად, ტექნიკური დავალების და ნორმატიული დოკუმენტების სნ (27751-88) შესაბამისად, იმისათვის, რომ დადგენილიყო საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების მოცულობა, საკვლევ მოედანზე წინასწარ ჩატარდა სარეკოგნოსცირებო სამუშაოები. დეტალურად დათვალიერდა შენობის მიმდებარე ტერიტორია.

შენობა აშენებულია მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში, იგი 4 სართულიანია, სამი მიწისზედა და ერთი მიწისქვეშა სართულით. შენობა გეგმაში რუსული П ფორმისაა. აშენებულია ტუფის ქვით და ბეტონის ბლოკით. გამოყენებულია ქართული აგურიც. კედლების ზომა 0,80 X 0,80 მ-ია. შუა მზიდი კოლონებისაც იგივე 0,80 X 0,80 მ-ია.

წინამდებარე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიზანი არის შენობის რეკონსტრუქცია-დაშენების პროექტისთვის არსებული შენობის ფუძე-საძირკვლების მდგრადობის დადგენა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასება.

სარეკონსტრუქციო შენობის და მისი მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-განვითარების კვალი არ აღინიშნება. უბანი მდგრადია და მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ საინჟინრო–გეოლოგიურ პირობებში იმყოფება.

ტექნიკური დავალების შესაბამისად, პროექტის მთ. კონსტრუქტორის მიერ მითითებულ ადგილებში, მიწისქვეშა სართულში გაყვანილი იქნა ოთხი შურფი, თითოეული 3,0 მ სიღრმის, ხოლო ეზოში ხელის შრომით და ხელბურღით ერთი ჭაბურღილი, კვეთით 0,05 მ და სიღრმით 5,0 მ. სამუშაოები შესრულდა ხელის შრომით. სამთო ნამუშევრების საერთო სიგრძემ შეადგინა 17,0მეტრი. სამთო გამონამუშევრების გაყვანის დროს ხდებოდა

გრუნტების დასინჯვა: აღებულ იქნა დარღვეული და დაურღვეველი სტრუქტურის ნნიმუშები. გრუნტის ფენები აღიწერა გოსტ 25.100-82 მოთხოვნათა შესაბამისად. დასინჯვის შემდეგ, როგორც ამას ნორმები მოითხოვს, მოხდა მათი ლიკვიდაცია განაბურღი გრუნტით, ამოვსებით. გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა შესრულდა შპს „წყალი და გრუნტი“-ს გრუნტების კვლევის ლაბორატორიაში, დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების გამოყენებით შედგენილია წინამდებარე დასკვნა. დასკვნას თან ახლავს გრუნტების ლაბორატორიული კვლევების კრებსითი ცხრილი, შენობის სქემატური გეგმა სამთო-გამონამუშევრების განლაგებით, ლითოლოგიური ჭრილები და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევა ჩატარებული იქნა ინჟინერ-გეოლოგ ზ. ნაზღაიძის მიერ.

2, ზოგადი ნაწილი

მშენებლობისათვის განკუთვნილი ნაკვეთი მდებარეობს ქალაქი თბილისი, ქუჩა უზნაძე #78, საკ.კოდი 01.13.08.001.056. ნაკვეთი მდებარეობს დედაქალაქის ცენტრში, მჭიდროდ დასახლებულ უბანში, რომლის ათვისება დაიწყო მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, ამდენად ბუნებრივი რელიეფი ძლიერ სახეცვლილია ურბანულ-ტექნოგენური პროცესებით. საკვლევი ტერიტორიის რელიეფი სწორია. ტოპო-გეგმის მიხედვით აბსოლუტური ნიშნულები +400,20 -399,80-მ-ის ფარგლებში მერყეობს.

გეომორფოლოგიურად საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მდ.მტკვრის მარცხენა ნაპირზე, I ჭალისზედა ტერასაზე, რომელიც “დიდუბე-ჩუღურეთის” სახელითაა ცნობილი. რელიეფი ტექნოგენურია, ოდნავ დამრეცი რელიეფით.

ტექტონიკური თვალსაზრისით, პ.გამყრელიძეს საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის სამხრეთ ქვეზონას. ხოლო მდებარეობს თაბორის ანტიკლინის ჩრდილოეთ ფრთაზე (დ.პაპავას მიხედვით), რომელიც აგებულია ფლიშური ტიპის ზედა ეოცენური (P_2^3) ასაკის არგილიტების და ქვიშაქვების მორიგეობით. არგილიტები თხელ შრეებრივია, მუქი მოშავო შეფერილობის, ფურცლოვან-ფირფიტისებური აღნაგობის. ქვიშაქვები ნაცრისფერი ან ღია ნაცრისფერია,ჭრილის ზედა ნაწილში მოყავისფროც. არგილიტები და ქვიშაქვები ერთგვარად მონაცვლეობენ შეფარდებით 3/2-ზე. ქანების დაქანების აზიმუტი ჩ.დ. 340^0-350^0, ხოლო დაქანების კუთხე 20-25^0. ძირითადი ქანები გადაფარულია მეოთხეული ასაკის

ალუვიური კენჭნარით (aQIV), დელუვიური თიხა-თიხნარით (dQIV) და ტექნოგენური გრუნტებით (ტQIV).

საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით ტერიტორია მშვიდია. რაიმე ისეთი საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც საერთოდ საფრთხეს უქმნის შენობის მდგრადობას, არაა მოსალოდნელი.

ტერიტორიის ჰიდროლოგიური პირობების შესახებ აღვნიშნეთ, რომ რაიონის მთავარ ჰიდროგრაფიულ არტერიას წარმოადგენს მდ.მტკვარი, რომელიც საკვლევი უბნის ახლოს მიედინება.

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ საკვლევ უბანზე გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება გეომორფოლოგიური პირობებით და გეოლოგიური აგებულებით. გრუნტის წყლები ძირითადად ინფილტრაციულია, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ტერიტორიის განაშენიანებასთან დაკავშირებით გარკვეული როლი ენიჭება ტექნოგენურ წყლებსაც, დაზიანებული კომუნიკაციები დიდ პრობლემებს უქმნიან მოსახლეობას. საქმე ისაა, რომ საცხოვრებელი შენობები აშენებულია ზედაპირიდან 4-5 მ სიღრმეზე, სადაც გრუნტები მშრალ მდგომარეობაშია. ხშირად წყლის კომუნიკაციები ზიანდება, რაც იწვევს ფუძე-გრუნტების წყლით დასველებას. შედეგად გრუნტის სიმტკიცე მკვეთრად ეცემა და შენობები განიცდიან არათანაბარ ჯდენებს.

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონება
ე. გამყრელიძის (2000) მიხედვით



1. კავკასიონის ნაოჭა სისტემა
2. სამხრეთ კავკასიის მთათაშუა არე
3. მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემა

საქართველოს სქემატური გეოლოგიური რუკა (გამყრელიძე და სხვ. 2009)



1. მეოთხეული; 2. ნეოგენური; 3. პალეოგენური; 4.ცარცული; 5. იურული; 6. შუა პალეოზოურ-ტრიასული; 7. ნეოპროტეროზოურ-ქვედა პალეოზოური; 8. ნეოგენურ-მეოთხეული სუბაერული ვულკანიტები; 9. იურული გრანიტოიდები; 10. ნეოპროტეროზოური და პალეოზოური გრანიტოიდები; 11. რღვევები; 12. შარიაჟების ფრონტალური ხაზები; 13. საქართველოს სამხედრო გზა.

სეისმურობა

